

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის წორმების ცოდნა	19	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	
წერის უნარი	19	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წერთნა	5	5	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	92	100	

თარიღი: 17.09.2024

ვასილ მშვენიერაძე





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭო“ 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (18 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭო“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა ზურაბ ძლიერიშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭო“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- „დ“ წერის უნარი;
- „ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- „ზ“ პროფესიული თვისებები;
- „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- „ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;
- „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;
- „გ“ წერის უნარი – 20 ქულა;
- „დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;
- „ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;
- „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;
- „ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მომოვლებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 51 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, თსუ, 1996 წელი); იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ, 1999 წელი).

სპეციალობით მუშაობს 27 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელი და 10 თვე. კერძოდ:

- 2014 წლის 17 ოქტომბრიდან - დღემდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - მოსამართლე;
- 2014 წლის 29 ოქტომბრიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატისა და დიდი პალატის წევრი;
- 2015 წლის 7 მარტიდან - 2017 წლის 8 მარტამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე;
- 2020 წლის 4 სექტემბრიდან - 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე;
- 2019 წლის 18 აპრილიდან - 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - სადისციპლინო პალატის წევრი.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კვალიფიციურობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და ა. შ.. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლონებებს. გამოვითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ მაღიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განსილულ გახმაურებულ საქმეებთან, განხილული საქმეების რაოდენობასთან, პედაგოგიურ საქმიანობასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან, მოსამართლედ განწესებასთან, დანამატებსა და სარგოებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, არც საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის“ სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ორი ბინა, თბილისში, 35 მ² და 44 მ²; სარდაფი, თბილისში, 13.6 მ², მიწის ნაკვეთი 7560 მ², დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მჭადიჯვარი; მიწის ნაკვეთი (33%) 1252 მ², დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მჭადიჯვარი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. 2021 წლის აგვისტოდან - 2024 წლის აგვისტოს ჩათვლით, „კანდიდატს“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ფაქტი არ უფიქსირდება.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

2.1.7. „კანდიდატის“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98,6% შემთხვევაში, ვადის დარღვევით 1,4%. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. „კანდიდატის“ საანგარიშო პერიოდში (984 დღეში) დასრულებული აქვს 402 საქმე (დღეში საშუალოდ 0,5 საქმე).

2.1.8. შესწავლილი იქნა „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი, მის მიერ განხილულ 7 საქმეზე მიღებული განჩინება.

2.1.9. „კანდიდატის“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, წინანდალი, დეკემბერი 2023 წელი; სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs”, Universität Des Saarlands, Saarbrücken, Germany - 25-26 October, 2023 წელი, მომხსენებელი/მონაწილე, „Materialler Schadenersatz bei Verkehrsunfällen“ (სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები); საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის“, თსუ/ალტე უნივერსიტეტი, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (CoLE), 3 ოქტომბერი, 2023 წელი; ფორუმი თემაზე: „გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ბენჩმარკის“ მომზადება“ USAID/PROLoG, კაჭრეთი, საქართველო, 15-17 სექტემბერი, 2023 წელი; სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ლოპოტა, ივნისი, 2023 წელი და ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატის“ 2005 წელს ჩატარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. კანდიდატის გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები (სამეცნიერო სტატია/მოსოგრაფია/წიგნი), (მაგ.: სტატია - გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას პროფ. ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წელი, გვ.104-115. www.press.tsu.edu.ge; სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) სამოქალაქო საპროცესო სამართლი, II ნაწილი წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2023 წელი, 704 გვ. Meridian 777@gmail.com; სტატია - ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით პროფ. ლადო ჭანტურიას 60

წლისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წელი, საიუბილეო კრებული გვ.345-358. www.press.tsu.edu.ge; მონოგრაფია - დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრატიკა) წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2022 წელი, 405 გვერდი. Meridian 777@gmail.com; სტატია - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ზუნება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ულტრანალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 6/2022, გვ.1-19. www.lawjournal.ge. და ა.შ.)

2.1.12. კანდიდატი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: 2012 წლიდან - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი პროფესორი (აფილირებული პროფესორი 2018 წლიდან, კერძო სამართლის მიმართულება), სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; 2017 წლიდან - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი; 2012 წლიდან - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი; 2014 წლიდან - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოწვეული ლექტორი, სასწავლო კურსი: სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმეთა განხილვის თავისებურებანი; 2010 -2017 წლები, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი, მოწვეული პროფესორი; 2008 -2018 წლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, მოწვეული პროფესორი; 2012-2022 წლები, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2014-2018 წლები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება); 2007-2016 წლები, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2013-2017 წლები, გურამ თავართექილამის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი; 2006-2017 წლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2008-2017 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს წევრი, მოწვეული პროფესორი; 2005-2008 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საპროფესოროს ხელმძღვანელი; 1999-2005 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, დოცენტი, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე; 2001-2003 წლები, მოსამართლეთა სასწავლო ცენტრი, მოწვეული ლექტორი; 1997-1999 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

2.1.13. „კანდიდატი“ ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.1.14. „კანდიდატი“ არის სხვადასხვა ულტრანალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზირობი/ოპონენტი.

2.2. კანდიდატის საქართველოს მოსმენის შედეგად მოჰკვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები თანმიმდევრული, არგუმენტირებული და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით გაჯერებული იყო. ყველა დასმულ კითხვაზე, მის მიერ გაცემული პასუხების შეჯამების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი სიღრმისეულად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით წებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

- ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;
- ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;
- გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;
- დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“;
- ე) „ფინანსური ვალდებულება“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მიუიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მიუიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია სამოქალაქო სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

ამასთან, „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილ განჩინებათა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსაზიღველ სამართალურთიერთობას ადგევატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარტივული რებლო საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, „კანდიდატმა“ დატოვა კომუნიკაბელური და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე. აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.6% შემთხვევაში, ვადის დარღვევით 1.4%. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. „კანდიდატს“ საანგარიშო პერიოდში (984 დღეში) დასრულებული აქვს 402 საქმე (დღეში საშუალოდ 0,5 საქმე), რაც ძალიან კარგი შედეგია.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შემენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. „კანდიდატი“ 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში იკავებდა ადმინისტრაციულ თანამდებობას. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, სამართლის სფეროში არაერთი წიგნის/სახელმძღვანელოს ავტორი/თანავტორია.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/ წინადადებებს. ამასთან, როგორც აღინიშნა, კანდიდატი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე არის სხვადასხვა უკრნალის სარედაქტო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზენტი/ოპონენტი.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ზურაბ ძლიერიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 92 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 19

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19

„გ“ წერის უნარი - 19

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) - 13

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5

„ზ“ პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე

